დანართი #1

## ტექნიკური დახასიათება

**გამმართველის ზამთრის დათბილული ბრენდირებული შარვალი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:**

| | |
|---|---|
| დასახელება | დათბილული შარვალი |
| ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი | ბამბა და პოლიესტერის ნარევი, ანტისტატიკური, წყლის ამრიდი, რეცხვა მედეგი, 210 გრ/მ² |
| მათბუნებლის დასახელება და გრამაჟი | სინტეპონი, დალიანდაგებული სარჩულით, 160 გრ/მ² |
| აღწერილობა | სწორი, ჩაშვებული შარვალი ლურჯი ფერის. წინა ნაწილზე ზემოდან დაკერებული დახრილი ჯიბეები. შუა წვივზე შარვალს, ტოტის გარშემო დაკერებული აქვს 5სმ სიგანის მანათობელი. შარვალს მარჯვენა და მარცხენა მხარეს, გვერდით ნაკერზე აქვს მოცულობითი ჯიბე ზომით (15+19სმ). ჯიბის კანტი შესრულებულია სალათისფერი ქსოვილით, ჯიბეს აქვს სარქველები და იკვრება ფხრიწით. შარვალს უკანა ნაწილზე საჯდომის მიდამოში აქვს ორი ზედნადები ჯიბე. ჯიბეებს აქვს სარქველი, რომელიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით). შარვლის ქამარი 4 სმ-ია. ქამრის უკანა ნაწილი დამუშავებულია რეზინით. შარვალს აქვს 5 საქამრე. შარვალი იკვრება ელვა შესაკრავით, ერთი ღილით. შარვალს მთელ მოცულობაში აქვს გამოკრული მათბუნებელი. |
| ბრენდირება | მარცხენა გვერდითი ჯიბის სარქველზე ნეოგაზის ლოგოტიპი ინგლისურად, 10სმ. სუბლიმაციური ბეჭდვა |
| ფერი | ლურჯი, სალათისფერი |
| ზომები | S, M, L, XL, XXL, 3 XL, 4 XL, 5 XL |
| მიახლოებული რაოდენობა | 350 ცალი |

გამმართველის ზამთრის დათბილული ბრენდირებული ქურთუკი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:

| | |
|---|---|
| დასახელება | დათბილული ქურთუკი |
| ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი | ბამბა და პოლიესტერის ნარევი, ანტისტატიკური, წყლის ამრიდი, რეცხვა მედეგი, 210 გრ/მ$^2$ |
| მათბუნებლის დასახელება და გრამაჟი | სინტეპონი, დალიანდაგებული სარჩულით, 240 გრ/მ$^2$ |
| აღწერილობა | სამუშაო შესრულებულია ორ ფერში. ქვედა ნაწილი ლურჯი, ზედა ნაწილი სალათისფერი. ზედა ნაწილის ბოლოში (გულზე და ზურგზე) და ქვედა ნაწილში დაკერებულია 5 სმ-იანი მანათობელი. ზედა ნაწილზე დაკერებული აქვს ორი მოცულობითი ჯიბე. ჯიბეებს აქვს სარქველი და იკვრება ფხრიწით. მარცხენა ჯიბეზე მიკრული აქვს გამჭვირვალე პლასტიკი ბეიჯის ჩასადებად. ქვედა ნაწილზე აქვს მოცულობითი ჯიბეები. ქურთუკი იკვრება ელვა შესაკრავით და ფხრიწებით.<br>ზურგიც არის ორ ნაწილიანი. მკლავის ქვედა ნაწილზე დაკერებული აქვს 5 სმ-იანი მანათობელი. მკლავებს ბოლოში აქვს მანჟეტები. |
| ბრენდირება | სალათისფერ ნაწილზე გულზე მარცხენა მხარეს ქართულად, 10სმ და ზურგზე ინგლისურად, 25,5 სმ ნეოგაზის ლოგოტიპი. სუბლიმაციური ბეჭდვა. |
| ფერი | ლურჯი, სალათისფერი |
| ზომები | S, M, L, XL, XXL, 3 XL, 4 XL, 5 XL |
| მიახლოებული რაოდენობა | 350 ცალი |

**დასუფთავების სამსახურის ქალის ზამთრის დათბილული ბრენდირებული ქურთუკი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:**

| | |
|---|---|
| დასახელება | დათბილული ქურთუკი |
| ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი | ბამბა და პოლიესტერის ნარევი, ანტისტატიკური, წყლის ამრიდი, რეცხვა მედეგი, 210 გრ/მ$^2$ |
| მათბუნებლის დასახელება და გრამაჟი | სინტეპონი, დალიანდაგებული სარჩულით, 240 გრ/მ$^2$ |
| აღწერილობა | ქურთუკი შესრულებულია ორ ფერში, ლურჯი და ნაცრისფერი. იკვრება ელვა შესაკრავითა და ფხრიწით. აქვს ზემოდან დაკერებული ოთხი ჯიბე, სარქველით და ფხრიწი შესაკრავით. გულზე, ზურგზე და მკლავებზე აქვს 5 სმ-იანი შუქამრეკლი. დამცავი დანაკერები იდაყვებზე. |
| ბრენდირება | გულზე მარცხენა მხარეს ქართულად (10სმ) და ზურგზე ინგლისურად (25,5 სმ) ნეოგაზის ლოგოტიპი. სუბლიმაციური ბეჭდვა. |
| ფერი | ლურჯი, ნაცრისფერი |
| ზომები | S, M, L, XL, XXL, 3 XL |
| მიახლოებული რაოდენობა | 50 ცალი |

**გამმართველის ბრენდირებული ქუდი ზამთრის შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:**

| | |
|---|---|
| დასახელება | ქუდი |
| ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა და გრამაჟი | ბამბა 100%, სიმკვრივე არანკლებ 250 გრ/მ2 |
| აღწერილობა | ორმაგი, რეზინის ნაქსოვი |
| ბრენდირება | შუბლზე (10სმ) ნეოგაზის ლოგოტიპი, სუბლიმაციური ბეჭდვა |
| ფერი | ლურჯი |
| ზომები | One Size |
| მიახლოებული რაოდენობა | 350 ცალი |

**ზოგადი მოთხოვნები**

1. ნაკერები: შესრულებული უნდა იყოს გამძლე ძაფით, ორმაგი გვირისტით და ჩამაგრებებით უბეში, გვერდითა და შიდა ნაკერებზე, ჯიბეებზე, საქამრეებზე და ა.შ. ისეთ ადგილებზე სადაც აქვს მეტი დაწოლა.
2. თითოეულ დასახელებას უნდა ჰქონდეს იარლიყი, რომელზეც დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: ზომა, ქსოვილის დასახელება, ქსოვილის მახასიათებლები, ქსოვილის პროცენტული შემადგენლობა, მოხმარების წესი.

დამატებითი პირობები

1. მომწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს კომპეტენტური ორგანოების ან მწარმოებლის მიერ გაცემული შესაბამისობის სერთიფიკატი, რაც დაადასტურებს ქსოვილის მახასიათებლებს - პროცენტული შემადგენლობა, ანტისტატიკურობა, წყლის ამრიდობა, რეცხვა მედეგობა, გრამაჟი.
2. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მომწოდებებლმა უნდა უზრუნველყოს თითოეული დასახელების სრულყოფილი ნიმუშის მოწოდება ტექნიკურ დახასიათებაში მითითებული ზომების მიხედვით (ზომები: S, M, L, XL, XXL, 3 XL, 4 XL, 5 XL).
3. დამკვეთი დააზუსტებს რაოდენობებს ზომების მიხედვით ნიმუშების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში და გადასცემს დაზუსტებულ შეკვეთას მომწოდებელს.
4. დამკვეთის მიერ 3 თვის ვადაში ნებისმიერი რაოდეობით დამატებითი დაკვეთის განხორციელების შემთხვევაში, მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასებითა და პირობებით.